განკარგულება:**გ-49. 49242088**
თარიღი:**26/07/2024**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824206128; 24/07/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**1.** მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

**2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.

**3.** განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბო არენა“**

| # | თანამდებობის დასახელება | **2024 წელი** | |
|---|---|---|---|
| | | საშტატო რიცხოვნობა | განაკვეთის ღირებულება |
| | **სულ** | **28** | |
| 1 | დირექტორი | 1 | 2200 |
| 2 | საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი | 1 | 1000 |
| 3 | საწვრთნელი ბაზის ტექნიკური მომსახურების კოორდინატორი | 1 | 847 |
| 4 | საწვრთნელი ბაზის ადმინისტრატორი | 1 | 1100 |
| 5 | სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური მართვის კოორდინატორი | 1 | 622 |
| 6 | საქმეთა წარმოების კოორდინატორი | 1 | 400 |
| 7 | გადამზადებული აგრონომი | 2 | 1000 |
| 8 | აგრონომი | 1 | 880 |
| 9 | მუშა | 7 | 605 |
| 10 | ფეხბურთის კომენტატორი | 1 | 363 |
| 11 | ელექტრიკოსი | 1 | 363 |
| 12 | დამლაგებელი | 2 | 400 |
| 13 | დარაჯი | 6 | 363 |
| 14 | კომენდატი | 1 | 485 |
| 15 | საფეხბურთო ცენტრის მენეჯერი | 1 | 1200 |